ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ, ᲬᲐᲠᲬᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲗᲘᲠᲓᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 25 ᲛᲐᲠᲢᲘ 1978 წ. □ № 71 (17115) □ ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

1920 — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ — 1978

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲓᲐᲛᲘᲖᲘᲐ

ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐᲡ.



ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲜᲘᲨᲐᲜᲡᲕᲔᲢᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ ᲞᲠᲔᲡᲨᲘ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ. ᲔᲡ ᲛᲝᲛᲪᲚᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲘᲨᲜᲡᲕᲔᲢᲘᲐ.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲚᲐᲙᲝᲜᲘᲣᲠᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲛᲛᲪᲕᲔᲚᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲰᲧᲝᲠᲓᲐ ᲐᲛᲣᲐᲛᲐᲓ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲣᲤᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲣᲚᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲙᲘᲜᲝᲩᲐᲠᲘ.

ᲛᲐᲨ ᲐᲮᲚ, ᲐᲛ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ... ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ. ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲗᲐᲜᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲙ ᲙᲞ ᲒᲠᲣᲖᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ... ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ.

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲘᲗᲐ ᲐᲮᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲪᲐᲕᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲚᲘ ᲠᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ“, „ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ“, „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ“ ᲓᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ“.

ᲡᲐ�გᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲛᲣᲮᲚᲨᲘᲪ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲚᲘ ᲠᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ“, „ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ“, „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ“.

ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲛᲣᲮᲚᲨᲘᲪ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲠᲘᲗᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲠᲩᲜᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ. ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲒᲠᲘᲗᲔᲑᲡ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲐᲜᲝᲓ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲚᲘ ᲠᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ“, „ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ“, „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ“ ᲓᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ“.

ᲛᲐᲡᲨᲘ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲪᲐᲕᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐᲡ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲐᲜᲝᲓ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲡ ᲨᲔᲣᲠᲩᲜᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ. ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲒᲠᲘᲗᲔᲑᲡ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ

კომუნისტი
საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო
კონსტიტუცია

ჩვენი საშუალებაა, ხალხის საკეთილდღეოდ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ერთსულოვნად იწონებენ

ხალხმრავალი მიტინგები

თბილისი

ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურში და დისტანციებზე, დეპოებში და მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური გასინჯვისა და რემონტის პუნქტებში ფართოდ იხილავენ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტს. რკინიგზელები აცხადებენ, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხები და მათ ძმურ ოჯახში ქართველი ხალხი სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ლენინური პარტიის გარშემო და მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ფოლადის მაგისტრალის მშრომელები, რომლებსაც რესპუბლიკის ძირითადი კანონის პროექტის საყოველთაოსახალხო განხილვა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების ნათელ დემონსტრაციად მიაჩნიათ, აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალ წარმატებებს მიაღწიონ.

თბილისის სატვირთო სადგურის მშრომელები შეიკრიბნენ, რათა განეხილათ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა, მატარებლების შემდგენელმა ი. ფოცხვერაშვილმა თქვა:

— რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ყოველ მოქალაქეს ფართო უფლებებს ანიჭებს. ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიის მუდმივი ზრუნვის პასუხად, რომელიც გამოხატულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტში. წინადადება შემოქმედებითი შრომით აღვნიშნოთ ხუთწლედის მესამე წელი. ჩემს პირად ვალდებულებას — ვადამდე შეასრულო ხუთწლედის სამი წლის დავალება — 1 სექტემბრისათვის გავანაღდებ.

პარტიისადმი მადლიერება გამოთქვეს მატარებლების შემდგენელმა მ. მირზახანოვმა, მწოლიარმა ბ. თრანგიშვილმა, დისპეტჩერმა ფ. ხუროშვილმა და სხვებმა.

სადგურის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი და გადაწყვიტა მომავალ შრომის დღისწყაროზე — 22 აპრილს შეადგინოს და გაგზავნოს 5 მატარებლით მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ დღეს, დაზოგოს 12 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტს.

მიტინგის გახსნისას ქარხნის დირექტორმა ი. მაჭავარიანმა თქვა:

— რიგი გულდასმით კითხულობ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს, სადაც სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, ასახულია ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური გარდაქმნები, თვალნათლივ რწმუნდები თუ რა გრანდიოზული გზა განვლო რესპუბლიკამ.

ტრიბუნაზეა მკერავი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ციცაგი.

— საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტმა, ისევე როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციამ შემოიღო ახალი ცნება „სახალხო დეპუტატი". ეს ძალიან ზუსტი და ტევადი განსაზღვრებაა, რომელშიც განსახიერებულია ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარი დიდმნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებანი. როგორც დეპუტატი მე ყოველდღე ვგრძნობ რა მტკიცე, ურღვევი კავშირია საბჭოსა და მშრომელებს შორის. ჩვენ, დეპუტატებს, ხალხი გვანდობს თავის ყველაზე სანუკვარ ფიქრებს, გვაძლევს განაწესებს და მკაცრად მოგვკითხავენ როცა არ სრულდება მათი სურვილები.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი.

გათუმი

გათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის საამქროებში შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე მიიღეს გაზეთები, რომლებშიც გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის ტექსტი.

დაიწყო საერთო საქარხნო მიტინგი: ტრიბუნაზეა ამწყობ-ზენიკალთა ბრიგადირი მ. პონომარენკო.

— ჩვენი ბრიგადის წევრები დიდი ინტერესითა და ყურადღებით გაეცნენ რესპუბლიკის ძირითადი კანონის პროექტს, — თქვა მან. — უკანასკნელ წლებში საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამის კარგი მაგალითია ჩვენი საწარმო, რომელიც ახლა კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის 70-ზე მეტი სახეობის მანქანასა და ტექნოლოგიურ მოწყობილობას უშვებს. ქარხნის მარკას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღება საარსებო საფირობა გახდა და მხურვალედ ვიწონებთ რესპუბლიკის ძირითადი კანონის პროექტს.

— გვახარებს ის ამბავი, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტში არის სპეციალური თავი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ აჭარის ასს რესპუბლიკას ექნება თავისი კონსტიტუცია, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კონსტიტუციას და გათვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებს, — თქვა მიტინგზე გამოსვლისას ქარხნის პარტკომის მდივანმა ს. არამელაქმ.

მიტინგზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მანქანათმშენებლებმა აღნიშნეს, რომ არა მარტო მზარს უჭერენ და იწონებენ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს, არამედ ვალდებულებას კისრულობენ მომდინარე წლის 26 დეკემბრისათვის შეასრულონ მეათე ხუთწლედის მესამე დამკვრელური წლის გეგმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით.

(საქინფორმი).

რუსთავი

ხალხმრავალი მიტინგი მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს კორპუსის წინა ეზოში გაიმართა. იგი გახსნა საამქროს პარტბიუროს მდივანმა თ. ლებანიძემ.

— დიდი სიხარულის დღეებია ჩვენს რესპუბლიკაში, — თქვა თავის გამოსვლაში საამქროს უფროსმა რ. თხელიძემ, — საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნდა საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი, დოკუმენტი, რომელშიც კონცენტრირებულად აისახა ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც მოხდა რესპუბლიკისა და ერის ცხოვრების ყველა სფეროში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდან.

სიტყვას იღებს დგან „400"-ის მოწინავე უფროსი მგალობელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. კურტანიძე.

— ჩვენ, მეტალურგები ერთსულოვნად ვიწონებთ საქართველოს ახალ კონსტიტუციას. იგი მშრომელ ადამიანზე ზრუნვის ნათელ დადასტურებაა. კონსტიტუციის პროექტის მე-20 მუხლში ნათქვამია, რომ სახელმწიფო ზრუნავს შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დაცვისათვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციისთვის.

პროექტის ამ სიტყვებს მკაფიოდ ადასტურებს ჩვენი ქარხნის მაგალითი. აქ ამჟამად ტექნიკური პროგრესის ნიადაგზე მომდინარეობს დიდი რეკონსტრუქცია. ამის მაგალითია ჩვენს საამქროში ავტომატური დგან „400"-ის ამუშავება, რომელიც პირველი იყო არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპაშიც. ე. კურტანიძემ ბრიგადის სახელით იკისრა წლიური ვალდებულების გადამეტებით გამოუშვან სამასი ტონა მზა ფოლადის მილები.

გუშინ ასეთივე მიტინგები გაიმართა ქარხნის 20-ზე მეტ საამქროში. მათ შორის მარტენის, კოქს-ქიმიურ, საგლინავ, რკინიგზის საამქროებში. („კომუნისტის" ხაკ. კორ.).

კასპი

ქსანის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობაში გაჩაღებულია მინდვრის სამუშაოები. აქ თესავენ საგაზაფხულო კულტურებს, ამუშავებენ ენანებს, ხეხილის ბაღებს. ყველა ცდილობს შრომაში ამხანაგების არ ჩამორჩეს.

შესვენების დროს მუშები და სპეციალისტები საბჭოთა მეურნეობის კლუბისაკენ გაემართნენ. აქ გაიმართა საქართველოს ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის განხილვისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი.

— რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი — თქვა მეურნეობის დირექტორმა ა. ქაჯაიამ, ასახავს ულიდეს წარმატებებს პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში, რომელსაც რესპუბლიკის მშრომელებმა მიაღწიეს ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ. ეს ისტორიული დოკუმენტია, რომლის თანახმადაც ვიცხოვრებთ, ვიშრომებთ, ვიღვაწთ კომუნიზმის გამარჯვების გზით. საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტში გათვალისწინებულია რესპუბლიკის განვითარების ეროვნული და სხვა თავისებურებანი. ყოველივე ეს აღგვაფრთოვანებს და ძალას გვმატებს. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა მკვეთრად გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი.

თბილისი. 24 მარტის დილა — ჟურნალ-გაზეთების კიოსკთან 26 კომისრის სახელობის მოედანზე.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ზრუნვის კასუხად

შრომის შთაგონება

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში ასახულია ის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილი დროის მანძილზე.

ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა საშუალებას მოგვცემს უფრო დაწვრილებით შეეისწავლოთ ის საკანონმ, პრინციპული მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას მოკლემულ ეტაპზე. პროექტის გაცნობა გვეხმარება კიდევ ერთხელ ნათლად წარმოვიდგინოთ, რა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მშრომელებმა ეკონომიკაში, მეცნიერებაში, კულტურაში, საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

კონსტიტუციის პროექტი შეიცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ფართო სპექტრს. პროექტის მეთოთხმეტე მუხლში ნათქვამია, რომ „საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის, ხალხისა და თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების წყაროა საბჭოთა ადამიანების შრომა, რომელიც თავისუფალია ექსპლოატაციისაგან".

დიახ, საამაყოა ცხოვრობდე იქ, სადაც იბრძვიან და დღენიადაგ ზრუნავენ ადამიანისა და მისი უფლებებისათვის.

პროექტი იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რაოდენ ზრუნავს ლენინური პარტია საბჭოთა სამშობლოს აყვავებისათვის, მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ მოქალაქეებს შეუქმნას შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის განვითარებისა და გამოყენების, პიროვნების ჰარმონიული განვითარების ყოველმხრივი ხელის შეწყობის პირობები.

ახალი კონსტიტუციის პროექტში დიდი ადგილი ეთმობა სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას. კიდევ მრავალი ფაქტი შეგვიძლია დავასახელოთ ახალი კანონპროექტიდან, რომელიც ადამიანის ბედნიერებისათვის არის შექმნილი.

ბოლშევიკური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ამ დიდი ზრუნვის პასუხად ძალ-ღონეს არ დაეზოგავთ, რომ ვადაზე ადრე შეასრულოთ მეათე ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი, მიგიღოთ ჩაის ფოთლის, სიმინდისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი, გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტები.

ალ. კურდღელია,
ცხაკაიას რაიონის გეკეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ვეტერანის გაკვეთილი

კონსტიტუციიდან კონსტიტუციამდე

საბჭოთა საქართველოს ახალ კონსტიტუციას, რომლის პროექტი ჩვენმა ხალხმა განსახილველად მიიღო, შეიძლება ითქვას, დიდი ისტორიული გზა აქვს გამოვლილი. ამ გზაზე ჩემს მშობლიურ რესპუბლიკასთან ერთად ვითარდებოდა იგი, მის ყოველ ახალ წარმატებას ასახავდა და აკანონებდა. მე თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ამ დიდმა ისტორიამ ჩემს თვალწინ ჩაიარა და შარშან განვითარებული სოციალიზმის ეპოქის ჯერ ახალი საბჭოთა კონსტიტუციის, ხოლო დღეს საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებას მოვესწარი.

საბჭოთა საქართველოს თავისი დაბადების გარიჟრაჟზე კონსტიტუცია არ ჰქონდა. ძირითად იურიდიულ აქტებს მაშინ საქართველოს რევკომის დეკრეტები წარმოადგენდა. თანდათანობით მომძლავრდა რესპუბლიკა და 1922 წლის 2 მარტს დამტკიცდა საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია.

ისტორიულად თითქოს არც ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ რამდენი რამ შეიცვალა ჩვენს საშობლოში, რამდენ წარმატებას მიაღწია მისმა ხალხმა, როგორ იზარდა, როგორ ეკონომიკა, კულტურა... მაგრამ ამას რომ ვიგონებთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი თავდადება, რაც საქართველოს მშრომელებმა იმ პირველი კონსტიტუციის მიღების დღიდან ახლანდელ კონსტიტუციამდე გასწიეს.

მე, ვეტერან კაცს, რომელმაც შრომითი ცხოვრების დიდი გზა გავლილ, მეამაყება, რომ რეალიზაციურ ეპოქაში შობილი ენთუზიაზმი, შემართება, საქმის უსაზღვრო სიყვარული დღესაც ამოძრავებს ჩვენს ახალ თაობას, რომელიც კომუნიზმს აშენებს.

მივესალმები საბჭოთა საქართველოს ახალ კონსტიტუციას და ვიწონებ მის ყოველ დებულებას.

ი. მონიავა,
სკკპ წევრი 1918 წლიდან.

სულიერ ღირებულებათა გამრავლებისათვის

დიდი უფლებები

თითქმის ნახევარი წელი გავიდა, რაც ჩვენმა სახელმწიფომ, საბჭოთა ხალხმა ახალი კონსტიტუცია მიიღო. ჩვენი დროის ამ უდიდესმა დოკუმენტმა თვალნათლივ დაანახვა მტერსა და მოყვარეს, თუ რა დიადია საბჭოთის ხვალინდელი დღე, მისი დროშის ქვეშ გაერთიანებულ ერთა „მძლე კავშირი ძმური".

გუშინ გამოქვეყნდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი. იგი გამოგანილია რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ცხადია, რომ საქართველოს მშრომელებიც გულდასმით შეისწავლიან და განიხილავენ მის ყოველ მუხლს. გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებსა და შეხედულებებს ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის გარშემო.

ფაქტი ერთია, რომ კონსტიტუციის პროექტში ნათლად არის ჩამოყალიბებული რესპუბლიკის შემდგომი სოციალური და საზოგადოებრივი განვითარების საკითხები, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი. მე პირადად, როგორც საბჭოთა კულტურის, სახვითი ხელოვნების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მეტი სიამაყე ვიგრძენი, როდესაც წავიკითხე 27-ე მუხლი: „სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ დაიცვას, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს სულიერი ღირებულებანი საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას".

ამაზე უკეთეს სიტყვებს ვერც ინატრებ. ოღონდ შევქმნათ უკეთესი, ღირებული, ჩვენი დღეგრძელობის საკადრისი ნაწარმოებები.

კ. სანაძე,
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, პროფესორი.

შენიშვნები, სურვილები, მოსაზრებები

დიადი მშენებლობის მძლავრი იარაღი

ბევრ სხვა �sეთა შორის

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში ნათლად, დამაჯერებლად და ლაკონურად არის ასახული ყველა ის ცვლილება, რომლებიც მოხდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილი დროის მანძილზე.

ძლავრმა სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა „ზრუნველყოფ ისეთი საწარმოო ძალების შექმნა, რომელთა საფუძველზე გაეხსნებოდა ადამიანის ბედნიერებისა და ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-

საერთაშორისო ცხოვრება

ქვეყანა დღეს ● ქვეყანა დღეს ● ქვეყანა დღეს

● აპაკიძის სტყობინება

ოფიციალური განყოფილება

უფრო ფართოდ დავნერგოთ კომპლექსური ნაკადური მშენებლობა

საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების, ქალაქების განვითარებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების, მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენების, საქმესალოტაციოდ ობიექტების რიგმული გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო დადგენილება „ქალაქებში საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და კომუნალური მეურნეობების ობიექტების კომპლექსური ნაკადური მშენებლობის პრაქტიკის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ".

ამ დადგენილების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან 1978-1980 წლებში უზრუნველყონ კომპლექსური ნაკადური საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის უწყვეტი დაგეგმვისა და ორგანიზაციის ეფექტიანი დანერგვის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

აღნიშნულ პერიოდში უნდა დამთავრდეს ქალაქებში საიჯარო წესით საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობაში ერთიანი შემკვეთის სამსახურების შექმნა, ამასთან ერთიანი შემკვეთის ფუნქციები უნდა დაეკისროთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ან სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომლებზეც მოდის ამა თუ იმ ქალაქში საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ძირითადი მოცულობა.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა და საწარმოებმა (ორგანიზაციებმა), რომლებიც ერთიანი შემკვეთის ფუნქციებს ასრულებენ, უნდა გაითვალისწინონ ერთიანი შემკვეთისათვის კაპიტალურ დაბანდებათა გადამცემი საწარმოების (ორგანიზაციების) წინადადებანი მათი მოთხოვნილების შესაბამისად საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ობიექტების (ბინის ტიპის საცხოვრებელი სახლები, სახლები მცირეოჯახიანი პირებისათვის, საერთო საცხოვრებლები და სხვ.) მშენებლობის, საწარმოების (ორგანიზაციების) მახლობლად ან ქალაქების იმ რაიონებში ამ ობიექტების განლაგების შესახებ, რომლებსაც მოხერხებული სატრანსპორტო კავშირი აქვთ. დაგეგმილი წლის განმავლობაში ერთიანმა შემკვეთებმა ამ საწარმოებს (ორგანიზაციებს) უნდა გამოუყონ შესასახლებელი საცხოვრებელი ფართობი და ადგილები სკოლამდელ ბავშვთა და სხვა დაწესებულებებში გადაცემული კაპიტალურ დაბანდებათა პროპორციული ოდენობით.

აგრეთვე დადგინდა, რომ ერთიანი შემკვეთისათვის წიაღობრივი მონაწილეობის წესით საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ გადაცემულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე აშენებულ სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობი კვლავ მიეცეთ ამ საწარმოთა (ორგანიზაციათა) მუშაკებს, ხოლო ასეთივე პირობებით აშენებულ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში განთავისუფლებული ადგილები უწინარეს ყოვლისა მიეცეთ ამ საწარმოების (ორგანიზაციების) მუშაკთა შვილებს.

გაეაუმჯობესოთ ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოყენება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის სრულყოფისა და სახალხო მეურნეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოყენების სრულყოფის შესახებ".

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ, წინადადება მიეცათ ეზრუნველყონ სპეციალისტთა და კვალიფიციურ მუშათა მომზადების კომპლექსური დაგეგმვა და განახორციელონ იგი ქვეყნის შრომითი რესურსების ბალანსის, საწარმოო ძალების განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის პერსპექტივების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უმნიშვნელოვანესი დარგების, ინტენსიურად განვითარებადი რაიონებისა და სამრეწველო ცენტრების, მეცნიერებისა და წარმოების ახალი კადრებით უზრუნველყოფას.

1990 წლამდე სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალისტთა მომზადებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების განლაგების კომპლექსური გეგმის შემუშავება სახალხო მეურნეობის დარგებისა და ეკონომიკური რაიონების, განსაკუთრებით ახლად შექმნილი საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსების განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად. სპეციალისტთა მომზადების დროს დაინერგება კოოპერირება რესპუბლიკებს, ეკონომიკურ რაიონებს, სამინისტროებსა და უწყებებს შორის, გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა სწავლების კონცენტრაცია სასწავლებლებში, რომლებსაც საჭირო სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები ჰყავთ და სასწავლო-მატერიალური ბაზა აქვთ.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალური საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცონ ამ თანამდებობათა ტიპობრივი ნომენკლატურები, რომლებიც უნდა დაიკავონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებმა, ამასთან ყურადღება მიაპყრონ იმას, რომ საჭიროა უფრო სწორი თანაფარდობა იყო', ინჟინერთა და ტექნიკოსთა რიცხვს შორის თითოეული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;

უზრუნველყონ სპეციალისტთა რაციონალური გამოყენება, ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების შემადგენლობის გაუჯობესება კვალიფიკაციისა და სპეციალური მომზადების დონის მიხედვით;

გაძლიერდეს კონტროლი საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სპეციალისტთა შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავებისა და დანერგვისადმი, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი კადრების იდეურ-თეორიული და პროფესიული დონის ამაღლებისათვის, წარმოებაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შენარჩუნებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ მოამზადონ და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ დებულება ახალგაზრდა სპეციალისტთა სარესპუბლიკათშორისო, საუწყებათშორისო და პერსონალური განაწილების შესახებ, ამასთან ამ დებულებაში გათვალისწინონ მათი განაწილების სისტემისა და პრაქტიკის მოწესრიგება. საგეგმო ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერება ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების გეგმების შემუშავების და რეალიზაციისათვის, მათთვის სათანადო საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის.

დადგენილებით გათვალისწინებულია განხორციელდეს ღონისძიებანი, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სპეციალისტთა მომზადება წარმოებისგან მოუწყვეტლივ, მოწესრიგდეს სასწავლებლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ფილიალების ქსელი. სამინისტროები და უწყებანი, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები ვალდებული არიან მეტი დახმარება გაუწიონ საოჯახო და დაუსწრებელ განყოფილებებზე მოსწავლე ახალგაზრდობას, განამტკიცონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და წარმოებაში ახალგაზრდობის პრაქტიკული მუშაობის კავშირი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 22 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოვდა ამბ. კონსტანტინე პეტრეს ძე დადიანი, — „საქჰიდროენერგომშენის" მთავარი ინჟინერი, — რესპუბლიკის ჰიდროენერგომშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლთან დაკავშირებით.

● 25 მარტი, 1978 წ. ●

შრი ლანკა

კომუნისტთა ყრილობაზე

კოლომბო, 23 მარტი (საკ.). აქ მუშაობას განაგრძობს შრი ლანკის კომუნისტური პარტიის X ყრილობა. მისი დელეგატები იხილავენ წარმოდგენილ რეზოლუციათა პროექტებს ქვეყნის შინაპოლიტიკური მდგომარეობისა და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანია, თქვა ყრილობაზე გამოსულმა შრი ლანკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. კეინემანმა, — სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სულ უფრო მზარდი ძლიერება.

ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია არ ვფიქრობდეთ იმაზე, თუ რამდენად უფრო დიდი იქნებოდა სოციალისტური თანამეგობრობის წვლილი მსოფლიო განვითარების საქმეში, ჩინეთის კომპარტია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა რომ მიდიოდნენ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან საერთო კურსით.

ჩვენი პარტია, თქვა მომხსენებელმა, უარყოფს ყველა იდას, რომლის მიზანია საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის ძირის გამოთხრა, საიდანაც უნდა მიმდინარეობდეს ეს ცდები.

სამხრეთ ლიბანი

ვითარება კვლავ დაძაბულია

● აგრესორი ცეცხლს არ წყვეტს ● ლიბანში ჩადიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები ● ი. არაფატი შეხვდა რვა სახელმწიფოს წარმომადგენელს

□

ბეირუთი, 23 მარტი. (საკ.). კვლავ დაძაბულია ვითარება სამხრეთ ლიბანში. როგორც პალესტინის საინფორმაციო საგენტო იუწყება, წუხელ და დღეს დილით ისრაელის ჯარები კვლავ უშენდნენ არტილერიის ცეცხლს სამხრეთ ლიბანის ოკუპირებული ტერიტორიის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე რაიონებს. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სამხედრო კომენიკეში აღნიშნულია, რომ ისრაელის არტილერია და ტანკები უკანასკნელი დღე-ღამეების განმავლობაში ციხეს ოშენდნენ ქალაქებს ნაბატიასა და ტირს, აგრეთვე პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობისა და ეროვნულ-პატრიოტული ძალების პოზიციებს შარჰაონის, ბლატის, ქლეის დასახლებულ პუნქტებში.

უშშროების საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად ლიბანში ჩადიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები. გუშინ სამხრეთ ლიბანში ისრაელის გელით ჩავიდა 100 ირანელი სამხედრო მოსამსახურის პირველი კონტინგენტი. დღეს დილით ბეირუთში ჩამოვიდა 200 ფრანგი პარაშუტისტი.

კაიმართა საკოორდინაციო კომიტეტის პირველი სხდომა ლიბანისა და საერთაშორისო ჯარების სარდლობის წარმომადგენელთა შემადგენლობით. განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულების ღონისძიებები.

ლიბანის მთავრობა კვლავ საუწყოფო ღონისძიებებს ახორციელებს სამხრეთიდან ლტოლვილთა დასახმარებლად.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ი. არაფატი შეხვდა 8 სახელმწიფოს წარმომადგენლებს და მათთან ერთად განიხილა ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგები, აგრეთვე უშშროების საბჭოს რეზოლუციი სამხრეთ ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების განლაგების შესახებ. მან განაცხადა, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ოკუპირებული ლიბანის ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გაყვანის საკითხს.

ვაშინგტონი, 23 მარტი (საკ.). აქ დამთავრდა მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კარტერსა და ისრაელის პრემიერ ბეგინს შორის, რომლის შედეგი იყო თეორი სახლის მიერ იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ ისრაელმა საბოლოოდ უარი თქვა გაიყვანოს თავისი ჯარები მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირიდან.

ვაშინგტონმა არა თუ არ დაგმო ისრაელის შეიარაღებული აგრესია სუვერენული ლიბანის წინააღმდეგ, არამედ თაქტიურად მხარი დაუჭირა ამ ბარბაროსულ აქტს. ეხება რა ჯ. კარტერის გამონათქვამებს, გაზეთი „ვაშინგტონ სტარი" წერს, რომ „შეერთებული შტატები ადგებით ეკიდება ისრაელის რეაგირებას (სამმე ეხება ისრაელის აგრესიას — რედ), იმ თვალსაზრისით, რომ მან უნდა უზრუნველყოს საკუთარი უშიშროება".

მორიგი თავდასხმა

ჯაზოი, 23 მარტი (საკ.). 200-ზე მეტი ვიეტნამელი მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის ბევრი ქალი და ბავშვი ამსხვერპლა კამპუჩიის ჯარების მორიგმა თავდასხმამ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახაზღვრო სოფლებზე ქალაქ ხოშიმინის ჩრდილოეთით შონგბის პროვინციაში.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, თუ როგორ ადაუსწორდნენ საზღვრიდან რვა კილომეტრზე მდებარე ჰუნგფიოკისა და ტიენპუგის თემების მცხოვრებლებს კამპუჩიის აღმოსავლეთ სამხედრო ოლქის 93-ე პოლკის ჯარისკაცები. რომლებიც 16 მარტს განთიადისას შეიჭრნენ შონგბის პროვინციაში.

ჰუნგფიოკის თემის სოფელ საჩიტში არ არის ოჯახი, რომლისთვისაც ორი კაცი მაინც არ მოეკლათ.

ეს აგრესიური რეიდი დაუსჯელი არ დარჩენილა, აღნიშნავს ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო. „დგილობრივმა შეიარაღებულმა ძალებმა და შონგბის პროვინციის სახალხო ლაშქარმა ვიეტნამის ტერიტორიიდან გააძევეს საზღვრის დამრღვევები და მნიშვნელოვანი ზარალიც მიაყენეს.

ეხლა შენი „თავისუფალი სამყაროდ"

ამერიკა: ფეხქვეშ გათელილი უფლებები

თავისუფლება ჯონ ჰარისს!

უხეში ძალადობა

საერთაშორისო საზოგადოებრიობა აღაშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების რასისტული სასამართლოს მიერ მოქალაქეობრივი თანასწორობისათვის მებრძოლის ჯონ ჰარისისათვის გამოტანილმა საზარელმა განაჩენმა. მთელ მსოფლიოში ფართოვდება გამოსვლები ამერიკის ზანგი მოსახლეობის უფლებებისა და ღირსებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ზანგი მუშის სიკვდილის განაჩენის გაუქმებისა და გათავისუფლებისათვის.

ნიუ-იორკი, საზარელი განაჩენი უნდა გაუქმდეს! — ამ ლოზუნგით გაჩაღდა ბრძოლა შეერთებულ შტატებში ამერიკელ ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ცნობილი მებრძოლის ჯონ ჰარისის (იმანი) სიცოცხლის დასახსნელად.

ახლა, როცა ალაბამის სასამართლო ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო პროტესტების შემდეგ იძულებული გახდა სიკვდილით დასჯა ორი თვით გადაედო, განაცხადა ზანგი მუშის ადვოკატმა უ. ელსონმა, ერთობლივი ბრძოლაა საჭირო უსამართლო განაჩენის სრული გაუქმებისათვის. მთელ ქვეყანაში იქმნება ზანგი აქტივისტის დაცვის კომიტეტები.

ჩვენი ბრძოლა ჯერაც შორსაა დამთავრებისაგან, იტყობინება ნიუ-იორკის ჯონ ჰარისის დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი კ. მარტინი. ჩვენ სულ უფრო აქტიურად ვავრცელებთ ფურცლებსა და ბროშურებს, სხვადასხვა ქალაქებში სტუდენტთა საერთო საცხოვრებელსა და სკოლებში ვაწყობთ კრებებსა და მიტინგებს. ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ, რათა გადავლახოთ „ფუმილის საზღვარი", რომლის შექმნასაც მსხვილი მონოპოლიების კონტროლქვეშ მყოფი ოფიციალური რაციონალური ბანდა ცდილობს „ჰარისის საქმის" გარშემო.

ორი თვე ძალიან მოკლე გადაა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ჩვენ უნდა მივაღწიოთ სიკვდილის განაჩენის სრულ გაუქმებას, თქვა ს. შნორმა, რომელიც ჯ. ჰარისის დაცვის საერთო-ეროვნული კამპანიის კოორდინაციას ხელმძღვანელობს.

ბონი. ჰარისის სიკვდილით დასჯის განზრახვა ყოველგვ უხეში ძალადობაა, იმის ცდაა, რომ თავიდან მოიშორონ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული წყობილებისათვის „არასასურველი" მოქალაქეობრივი თანასწორობისათვის მებრძოლი — განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, გერმანელთა მშვიდობის კავშირის დირექტორატის წევრმა ლორენც კნორმა. „ჰარისის საქმე" აშკარად მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მასობრივად ფეხქვეშ ითელება ადამიანის უფლებები, თავისუფლება და ღირსება.

ჰარისის ფიზიკური განადგურების განზრახვა, აღნიშნა მან, კიდევ ერთხელ ამხელს „ადამიანის უფლებათა დაცვის" კამპანიის თვალთმაქცობას, რასაც ამერიკის ადმინისტრაცია აწარმოებს.

(საკ.).



თავისუფლება „უილმინგტონელ ათეულს!"





ეს ფოტო „ალ-ბაიანის" ფოტოკორესპონდენტ ალ-ბაზაზის ფოტოა. ალ-ბაზაზი ... ...

გაზაფხულის სუნთქვა

ᲐᲣᲕᲐᲓᲚᲐ ნუში. თეთრად გადაპენტილი ყვავილებით დამშვენდა, ნაზი ხურნელება და სიხარული მოჰფინა გარემოს. ამ ფოტოზეც ყვავილების სილამაზით გამოხატული სიხარულია აღბეჭდილი. აგრონომი ნ. ჯამბურია (გეგეჭკორის რაიონი) აყვავებულ ხეღში.

გ. ᲯᲐᲧᲔᲚᲘᲡ ფოტო.

მკითხველები გვწერენ

ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲚᲗᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲐ. მეორე წელია, რაც ენგურჰესის მშენებლობაზე კულტურის უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა. აქ ხშირად ეწყობა ლექცია-მოხსენებები, იმართება შეხვედრები ქართველ მოღვაწეებთან, ხელოვნების მუშაკებთან, პოეტებთან და მწერლებთან.

ამას წინათ ჯვარხვნის კულტურის სახლში გიმართა უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ციცაშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე „ქართული მწერლობა და დრამატურგია“, ხოლო პოეტებმა ი. ონნაშვილმა, რ. მარგიანმა, ა. სულაკაურმა, ო. შალამბერიძემ, ე. ნიკარაძემ, ნ. გურეშიძემ წაიკითხეს ლექსები.

Ლ. ᲑᲐᲠᲥᲐᲘᲐ.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. ფაიფურის ქარხნის ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყო სამამულო ომის ვეტერანებს შ. ლომონჯავას, ტ. კვარაცხელიას და შ. გვაზავას.

ვეტერანებმა საღამოზე სამამულო ომის საბრძოლო ეპიზოდები გიხსენეს. მოეწყო შეჯიბრება — ვიქტორინა, თვითშოქმედმა ანსამბლმა შესარულა სიმღერები სამამულო ომის თემაზე. დასასრულ საპატიო სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

Დ. ᲛᲐᲠᲐᲘᲐ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ ᲖᲝᲛᲝᲙᲐᲠᲐᲙᲘ ᲢᲥᲘᲑᲣᲚᲨᲘ

ᲢᲥᲘᲑᲣᲚᲘ. მოსკოვის მოძრავი ზომპარკი პირველად ჩამოვიდა მეშახტეთა ქალაქში. სამხეცის ბინადარნი — ვეფხვი, სპილო, ლომი, ავაზა, ბეჰემოტი, დათვი, მაიმუნი ქალაქის ცენტრში დაბინავდნენ და უმაწვილებს გულს უხარებენ.

Ი. ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ.

ᲐᲒᲘᲢᲛᲑᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲛᲬᲧᲝᲛᲡᲔᲑᲗᲐᲜ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ჩიხარეშის სასოფლო კულტურის სახლის აგიტმბატკვრული ბრიგადა.

ამას წინათ ბრიგადის წევრები მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმას ეწვივნენ და საღამო-კონცერტი გამართეს.

მწყემსებს მოეწონათ ქართული ხალხური სიმღერები და სკეტჩები.

Გ. ᲛᲣᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲔᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲛᲐ

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ. ახლახან ბაკაბაღის ახალმა შენობამ დაამშვენა დაბა. ორსართულიანი შენობის ნათელი, ფართო და კეთილმოწყობილი ოთახები პატარების ერიამულით აივსო. ოთხმეტი პედაგოგი, აღმზრდელი, მედპერსონალი თავს ევლება ბავშვებს.

Გ. ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲔᲑᲘ

„ᲝᲘᲓᲘᲞᲝᲡ ᲛᲔᲤᲔ“ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲝᲪ ᲬᲚᲔᲖᲔ მეტი გავიდა ქართული თეატრის სცენაზე სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ ბოლო პრემიერიდან. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლს (დამდგმელი რეჟისორი — დ. ალექსიძე) წლების მანძილზე დიდი წარმატება ჰქონდა.

და აი ამჯერად ცნობილი ტრაგედიის გმირები ჩვენმა მაყურებელმა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე იხილა.

სპექტაკლის დამდგმელები არიან საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გ. ლორთქიფანიძე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. მესხი. მხატვრები — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრები ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე და ო. ქონაკიძე, კომპოზიტორი — ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი ი. კეკელიძე, სცენური მოძრაობა ა. შალიკაშვილისა.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ო. მელქანეთუხუცესი (ოიდიპოს მეფე) და მ. ჯაფარიძე (იოკასტე), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. უჩანეიშვილი, მ. ბებურიშვილი, კ. თოლორაია, გ. სიხარულიძე და ი. ოსაძე. (**„კომუნისტის“ კორ.**).

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲛᲐᲥᲢᲔᲑᲐ

ᲐᲥ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲜ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲑᲐᲒᲔᲑᲨᲘ, მდინარე ენერეს მარჯვენა ნაპირას, აშენდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 840-ადგილიანი მაღლივი საერთო საცხოვრებელი. ამ სახლის პროექტი დამუშავდა „საქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტში. მისი ავტორები არიან არქიტექტორები ზ. კოპალაძე, ლ. მემძარიაშვილი, მ. მემძარიაშვილი, ს. რევიშვილი, მთავარი კონსტრუქტორია ჯ. ბოკერია.

საცხოვრებელი სახლის პროექტი უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის გენერალური გეგმის მიხედვით იქნა შედგენილი. შენობა ორი 16 სართულიანი ბლოკისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიტების ჰოლით არის დაკავშირებული. საცხოვრებელ სახლს ძირითადად ერთ და ორადგილიანი ნომრები ექნება დამოუკიდებელი სანიტარული კვანძებითა და საშხაპეებით.

ᲙᲐᲚᲥᲔᲗᲘ ორადგილიანი, ოროთახიანი 14 ნომერი უცხოელ სტუდენტებისათვის.

ყოველ სართულზე სტუდენტთა ჯანკარგულებაში იქნება პეფეტი, სადაც მათ შეეძლებათ ოვითონვე მოიმზადონ საჭმელი, ყოველ სართულზეა საოთოები, დასასვენებელი და საძკკადინო ოთახები.

შენობის პირველ სართულზე მოთავსდება 50 ადგილიანი ხანგრძლივადბრკოლების სასადილო, აქვეა ფოსტა-ტელეგრაფი, გასეირნებისა და სუვენირების კიოსკები.

ნახევრად სარდაფის სართულზე განლაგდება ქალთა და მამაკაცთა საპარიკმახეროები, პირადი ნივთების შეკანანი და მომსახურე პერსონალის ოთახები.

საერთო საცხოვრებლის ეზო კეთილმოწყობა, გაკეთდება სპორტული მოედანი.

ამკამად ინსტიტუტში ამუშავებენ საერთო საცხოვრებელი სახლის სამუშაო ნახაზებს.

მომავალში მდინარის მეორე მხარეს განლაგებულ სასწავლო კორპუსებთან მოკლე გზით დაკავშირებისათვის გაიდება საქვეითო ხიდი.

Ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი სახლის მაკეტი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲗ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)-„ᲙᲝᲚᲝᲜᲘ“ (ᲜᲘᲙᲝᲞᲝᲚᲘ) — 2:1 (0:0)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 24 მარტი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

მსაჯი: ა. ბალაიანი (ბაკო)

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“: გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ქორიძე, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (შენგელია), გუცაევი, უიფიანი, ჩელებაძე.

„ᲙᲝᲚᲝᲜᲘ“: სიდენკო, ბულბა, ნაიდა, პელიპენკო, კოსიმცეკი, ბრიტჩენკო, ეურავლიოვი, პრილეპსკი, ბახოვი, დოროშენკო, ჩუმაკი.

სათასო მატჩებს ფეხბურთში დაძაბული ხასიათი რომ აქვთ, გუშინდელი შეხვედრა აძის ცაკეთი მაგალითი გახლდათ. „დინამოს“ მეტოქე ტექნიკურად, გამოცდილებით თუ ფიზიკური ოფმზადებით გაცილებით სუსტი კოლექტივი გამოდგა. ეს მოსალოდნელიც იყო და, ცხადია, მასპინძლებმა თავიდანვე შეიძლეს აქკარა ტერიტორიული უპირატესობ ი ს მოპოვება. ისინი ძატჩის ბოლომდე ერთთავად მეტოქის საკარიძო მოედნის სტუმრები იყვნენ. და მიუხედავად აძისა, პირველი გოლი ძაინც მასპინძელთა კარში გავიდა. 47-ე წუთზე ეს მოულოდნელი გოლი თბილისელთა კარში გაიტანა პრილეპსკიმ.

შეიძლება ითქვას, რომ დინამოელები ყველაფერს წყვეიერად აკეთებდნენ, დაიპყრეს შუა მინდორიცა და საჯარიმო მოედანიც, მაგრამ სწორედ ამის დაგვარგვინებას ვერ ახერხებდნენ, რასაც უბრალოდ კარის ღება ჰქვია. და დინამოელებმა საბოლოოდ მაინც მოიებნეს ის ძალები, რომლებიც მათ გამარჯვების მაუწყებელი გოლები შესძინა. ორივე გოლი ჩივაიემ გაიტანა: 64-ე და 80-ე წუთებზე.

თბილისელებს ჩვენ რაიმე განსაკუთრებულ პრეტენზიებს არ ვუყენებთ. ვიცით რომ ჯერ სეზონის დასაწყისია და ფეხბურთელები მათთვის სასურველ სპორტულ ფორმაში არ არიან, ვიცით ოომ ძთს რიგებს ტრავმების გამო რამდენიმე მოთამაშე გამოაკლდა, ვიცით რომ გუშინ არც საფეხბურთოო ამინდი იყო კაცი — კოკისპირულმა წვიმამ თავისი დღი დაასვა თამაშს, მაგრამ ის ძაინც გვინდა ვისურვოთ, რიგი ხარვეზები დინამოელთა თამაშში რომ გამოჩნდა, რაც შეიძლება სწრაფად და მოკლე დროში გამოსწორდეს.

მაშ ასე, დინამოელები საკვშარო თასის გათამაშების მეოვედფინალში გავიდნენ („კოლოსთან“ პირველი ძატჩი თბილისელებმა ფრედ — 1:1 დაამთავრეს). წინ დიდი გზაა, დინამოელთაგან უფრო ლაღსა და ლამაზ თამაშს ვეღით.

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲑᲔᲚ�გᲠᲐᲓᲨᲘ დამთავრდა ტრადიციული ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი XIV ტურნირი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილისა და 12 უძლიერესი საზღვარგარეთელი მოჭადრაკე ქალის მონაწილეობით.

მსოფლიოს ჩემპიონმა ბოლო მეცამეტე ტურში დაამარცხა შტადლერი და 9,5 ქულით კიდევ ერთხელ მოიპოვა ამ მნიშვნელოვანი ასპარეზობის პირველი ადგილი.

ნონა გაფრინდაშვილს ნახევარი ქულით ჩამორჩა უნგრელი მარია ეკაჯა, რომელმაც ბოლო ტურში მოუგო პიხალინს.

ᲚᲘᲕ ᲐᲚᲑᲣᲠᲢᲘ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი. **საბჭოთა კავშირიდან მეჯიბრებაში მონაწილეობდა** დიდოსტატი ლევ ალბურტი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა — 10,5 ქულა 15 შესაძლებლიდან.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა ეკათა პირველი ლიგის საკავშირო ხელმძიონატის მატჩები. უხიეოსიტეტის გუნდი ხედებოდა ეოევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებს. პირველი მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 100:99, ხოლო მეორე სტუმრებმა — 118:95.

ᲣᲐᲠᲘ ᲠᲐᲡᲘᲡᲬᲔᲒᲡ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ოლიმპიურმა კომიტეტმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოლიმპიურ კომიტეტს აცნობა, რომ მის წარმომადგენლებს კვლავაც არ დაუშვებენ მსოფლიო სპორტულ ორგანიზაციაში.

გადაწყვეტილება ამ საკითხზე წერილობითი ფორმით, იუწყება ფრანს პრესის საგანგებო ოფახელსბერგელი კორესპონდენტი, გაუგზავნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოლიმპიურ კომიტეტს საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა კილახიმმა.

ამ წერილში ნათქვამია, რომ პირობები სამხრეთ აფრიკაში, სადაც გაბატონებულია აპარტეიდი სპორტში, უკანასკნელ ხანს არსებითად არ შეცვლილა.

კანონმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტულ ხელმძღვანელებს ეს აცნობა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზოლუციის საფუძველზე, რომელიც მიღებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური კომისიის მოხსენების განხილვის შემდეგ. (საკდესის კორ.).

ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲘ

ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ

ᲔᲠᲗᲘ ტური დარჩა შაიბიანი ჰოკეის დიდი მარათონის — საკავშირო პირველობის დამთავრებამდე, მაგრამ უკვე ცნობილია სამივე პრიზიორი, ჩემპიონობა კი ხომ კარგა ხანია მოიპოვეს მოსკოველმა არმიელებმა. მეოთე ადგილი დაიკავა მოსკოვის „დინამომ“, მესამე — მოსკოვის „კრილია სოვეტოვმა“.

ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე თბილისის „დინამოს“ თამაშების კალენდარს:

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

8. „დინამო“ (თბ.) -„სპარტაკი“ (მოსკოვი), 12. „დინამო“ (თბ.)-„დინამო“ (კიევი), 24. „დინამო“ (მოსკოვი)-„დინამო (თბ.), 28. „დინამო“ (თბ.)-„ჩერნომორეცი“ (ოდესა).

ᲛᲐᲘᲡᲘ

2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)-„დინამო“ (თბ.), 9. „პაპტაკორი“ (ტაშკენტი)-„დინ ა მ ო“ (თბ.), 18. „დინამო“ (თბ.)-„ნეფტჩი“ (ბაკო), 23. „დინამო“ (თბ.)-„შახტიორი“ (დონეცკი), 28. „კაირატი“ (ალმა-ათა)-„დინამო“ (თბ.).

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

2. „ტორპედო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (თბ.), 11. „დინამო“ (თბ.)-„ზენიტი“, (ლენინგრადი), 17. „არარატი“ (ერევანი)-„დინამო“ (თბ.), 27. „სსკა“-„დინამო“ (თბ.).

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

1. „დინამო“ (თბ.)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი), 9. „დინამო“ (თბ.)-„ზარია“ (ვოროშ ი ლ ო ვ გრადი).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

15. „დინამო“ (თბ.)-„დნეპრი“, 22. „ჩერნომორეცი“-„დინა მ ო“ (თბ.), 30. „დინამო“ (თბ.)-„დინამო (მოსკოვი).

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

3. „დინამო“ (კ.)-„დინამო“ (თბ.), 7. „დინამო“ (თბ.)-„კიარატი“, 20. „დინამო“ (თბ.)-„პაპტაკორი“, 26. „შახტიორი“-„დინამო“ (თბ.).

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

1. „ნეფტჩი“-„დინამო“ (თბ.), 23. „სპარტაკი“-„დინამო“ (თბ.), 30. „დინამო“ (თბ)-„არარატი“.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

15. „ზარია“-„დინამო“ (თბ.), 23. „დინამო“ (თბ.)-„სსკა, 27. „ზენიტი“-„დინამო“ (თბ.).

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

5. „ლოკომოტივი“-„დინ ა მ ო“ (თბ.), 11. „დინამო“ (თბ.)-„ტორპედო“.

ᲠᲐ ᲘᲪᲘᲗ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ?

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘ?

25 ᲬᲔᲚᲖᲔ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა ოლიმპიური მოძრაობის ფერწული ჩაება, რაც საბჭოთა სპორტსმენებს ღირსეულად დაეკვთ მთელ მსოფლიოში ოლიმპიზმის დროდა — ძვირდბის ნათელი იდეალების, მეგობრობისა და სპორტის სიბბოლო.

და აი, საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქი, გმირი მოსკოვი XXII ოლიმპიური ასპარეზობის მასპინძლობისათვის ემზადება.

ოლიმპიადის ორგანიზაცია დიდი და კომპლექსური ამოცანაა, რომელიც მრავალი პრობლემის გადაჭრას მოითხოვს. ამ კრობლემათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ინფორმაციის სამსახურის ზუსტი, ოპერატიული და შეუფერებელი მუშაობა. ეთრიელის ოლიმპიადის მთავარი ნაკლი ის იყო, რომ მან ბევრი საკითხის, მათ შორის პრესის სამსახურის ორგანიზაცია ბოლო დღეებისთვის გადიტანა.

მოსკოვის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა უკვე კარგა ხანია აქტიური საქმიანობა გაშალეს ამ მეძარცულებითაც. დღეს უკვე ნათელი წარმოდგება შეიძლება ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორი იქნება პრესის სამსახური 1980 წელს.

მთავარი პრესცენტრი — ეს პრესის სამსახურის ერთ-ერთი განშტოებაა. ყველა სპორტული სარბიელზე შეიქმნება ეგრეთ წოდებული სუბპრესცენტრები, რომელთა მუშაობასაც კოორდინაციას გაუწევს მთავარი პრესცენტრი.

დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს პატარა ექსკურსია მოვაწყოთ მომავალ პრესცენტრში. წინასწარი მონაცემებით პრესის მთავარი შტაბი უნდა მოემსახუროს 3 ათას ჟურნალისტსა და 500-ზე მეტ ფოტოკორესპონდენტს. მოსკოვში ჩამოსული ჟურნალისტი პრესცენტრის გაცნობას აკრედიტაციის ბლოკიდან დაიწყებს. აქვე იქნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაცია.

ოდნავ მოშორებით იქნება დასასვენებელი ოთახები, ბანკი, ფოსტა და ტელეგრაფი, მერე მოდის კვების ბლოკი (რესტორანი, ბარი, კაფე), სავაჭრო ავტომატები და ბუფეტი. მთავარი ბლოკის ექვსი ფართო ოთახი ჟურნალისტთა მუშაობისათვის იქნება გაკეთებული. აქ მოეწყობა საერთაშორისო სატელეფონო სადგური და სატელევიზიო კამერები, გვერდით კი განლაგდება ინფორმაციის მთავარი სამსახური.

გამზადებული მასალების გადაცემა იწარმოების მეზობელი ბლოკიდან, რომელშიც დაიდგმება 100-ზე მეტი სატელეფონო კაბინა, ტელეტაიპები, ტელეგრაფები.

ერთი სიტყვით, მთავარი პრესცენტრი თავისი უამრავი ბლოკებითა და კვანძებით რთული საინჟინრო ნაგებობა იქნება, რომელმაც უნდა დაკმაყოფილოს თანამედროვე მოთხოვნები, ნორმები და ჟურნალისტებს მუშაობისათვის იდეალური პირობები შეუქმნას.

Ნ. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲒᲠᲝᲜᲖᲜᲝᲨᲘ

ᲒᲠᲝᲜᲖᲜᲝ. (საკდესი). 23 მარტს დილის 8 საათსა და 7 წუთზე ძოსკოვის დროით სეინმურმა საგდურმა „გროზნომ“ აღრიცხა ოთხი ბალი მიწისქვეშა ბიძგი.

მიწისძვრის ეპიცენტრი გადის გროზნოდან რაძდეხიმე კილომეტრზე. მიწისქვეშა სტიქიას ზიანი არ მიუყენებია ქალაქისათვის. მსხვერპლი და ნგრევა არ მოხდარა. (საკდესი).

რედაქტორი
Დ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ Ი. ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲔᲓᲒᲝᲒᲝᲒᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ - ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

მომდინარე წლის 27-30 მარტს — აპრილს 1-2-ში ტარდება ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘᲡ-ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲡᲐᲡ.

კონფერენცია გაიხსნება 27 მარტს, დღის 12 საათზე, საქართველოს ფილარმონიის მცირე დარბაზში (ლენინის ქუჩა № 1).

კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 25-26 მარტს 11 საათიდან 15 საათამდე პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტში (ჯავახიშვილის ქ. № 1), 27 მარტს — 10 საათიდან 12 საათამდე ფილარმონიის მცირე დარბაზში.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

27 ᲛᲐᲠᲢᲘ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კიინონარკვევი, 17.50 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 18.20 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 18.40 — მოსწავლეთათვის „წიგნი — ჩემი მეგობარი“, 19.20 — საუბრები საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტზე“, 19.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.50 — სატელევიზიო ოთავალსაჩინიანი მხატვრული ფილმი „და ეს ყველაფერი მას ეხება“, „ეროვნული სერია — პრემიერა (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრის საერთაშორისო დღე“.

28 ᲛᲐᲠᲢᲘ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი, 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — აბიტურიენტთათვის — ზოგადი ბიოლოგია, 18.05 — ბავშვებისათვის სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ძუნური“ (ფერადი), 19.25 — საუბრები საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტზე, 19.40 — ქართული ხალხური ცეკვერები, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.50 — სატელევიზიო ოთავალსაჩინიანი მხატვრული ფილმი „და ეს ყველაფერი მას ეხება“, „ეროვნული სერია — პრემიერა (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — სპორტული მიმოხილვა.

17.25 — მოსწავლეთათვის — „სატურნი“ (ფერადი), 18.25 — „საერთაშორისო დღეური“, 18.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 19.30 — „საუბარი მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტებზე“ — გადაცემა მეორე (მოსკოვიდან), 20.00 — საერთაშორისო ძეხვედრა გრივში. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ძეკეთებული შტატების ნაკრები გუნდები. (გადმოცემა ალმა-ათიდან), 22.00 — „ერეკლია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმების პროგრამა. „ფლეტა“, „არარეფულებრივი კოსტუმი“ და „ეპეელა“ (მოსკოვიდან).

1 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა. (მოსკოვიდან), 09.35 — კიინონარკვევი, 09.45 — მულტიალეკაციური ფილმი, 09.55 — კონცერტი (მოსკოვიდან), 10.25 — „თვევნთვის, ძმობლებო!“ (მოსკოვიდან), 10.55 — შვეისწავლოთ ქართული ენა, 11.25 — მუსიკალური ეროგრამა „ფილის ფოსტა“ (მოსკოვიდან), 12.00 ითთხრობეი მხატვრეზე — „ვინსენტ ვან გოგი“. დაბადების 125-ე წლისთავის გამო. (მოსკოვიდან), 12.35 — ბავშვებისათვის ძაატვრული ფილმი — „ეს ივეს არ გვისაუბლია“, 14.10 — კონცერტი — „ეროძელთა მხატვრული თვითმოქმედება“, 14.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 14.55 — დოკუმენტური ფილმი „კუზმა პეტროვი-ვოდკინი“ (ქართულ ენაზე), 15.05 — „აშკარა დაუჯერებელი“, (მოსკოვიდან), 16.05 — „გზებსა და გზაჯვარედინებზე“, 16.35 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.25 — „საერთაშორისო ეკონომიკური ალმანახი“ (ფერადი), 18.10 — „ბუნების კარი“. (ფერადი), 19.00 — „საუბრები საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტზე“. 19.15 — „თავისუფალი პრესა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სამსახურში“ (მოსკოვიდან), 19.45 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ნათან ბრძენი“ (პირველი მოქმედება), 21.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.40 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „ეროვნული ფანტაზია“ (ფერადი).

31 ᲛᲐᲠᲢᲘ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი, 16.55 — აბიტურიენტთა თ ვ ის — ქიმია, ᲥᲔᲗᲝᲗ ᲓᲐ ᲙᲝᲗᲔ (დღისით), ᲛᲝᲚᲐᲮᲚᲝ ᲥᲐᲚᲑᲐᲗᲝᲜᲘ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲪᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ (საღამოს); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲙᲐᲖᲑᲔᲗᲘᲡᲘᲠᲘᲜ ᲪᲐᲠᲪᲘᲡ ᲬᲠᲔ; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲘᲡ ᲕᲐᲨᲚᲔᲑᲘ (დღისით), ᲙᲕᲐᲠᲔᲗᲘ ᲙᲕᲐᲛᲐᲜᲔᲠᲘᲗᲐᲕᲔ (საღამოს), ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲐᲠᲨᲘᲜ ᲛᲐᲚ-ᲐᲚᲐᲜᲘ (დღისით), ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝ ᲡᲐᲪᲘᲚᲔ (საღამოს. პრემიერა), მინიატიურების. სახელმწიფო — ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲛᲘᲚᲘ; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲯᲐᲮᲣᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

27 ᲛᲐᲠᲢᲘ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — ეულტიპლიკაციური ფილმი, 17.00 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.40 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „კომპავშირული ტელეტაიპი“, 18.20 — კონცერტი ტალიხის გაზათლების ძუთაკთა ქალთა გუნდის მონაწილეობით, 18.55 — ფეხბურთი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე. „დინამო“ (მოსკოვი) — „ᲝᲡᲢᲠᲘᲐ“ (ვენა, ავსტრია). პირველი სანდვაოფინალური მატჩი. კირდაკირი ოეკორტაკი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან (ფერადი), შესვენების დროს — კიოფურხალი, 20.45 — ᲛᲣᲡᲘ